ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

14 აპრილი 2025

N149759

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,არალი“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს ,,არალი“-ის მიერ (ს/ნ - 222725807, მისამართი: ახალციხის რაიონი ქ. ახალციხე, აღმაშენებლის ქ 3ბ) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2025 წლის 31 იანვარს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სუბიექტი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ “ ქვეპუნქტების შესაბამისად, ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში მითითებული პერიოდებისთვის ავსებს შემდეგ ველებს: ა) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების ჯამური ღირებულება; ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა“. სუბიექტს ზომითი კატეგორიის ჩანართის შესაბამისი ველები შევსებული არ აქვს ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად,კერძოდ ზომით კატეგორიაში შევსებული მონაცემები არ ედრება პდფ-ში შევსებულს.

ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს დარღვევის აღმოფხვრა ამ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური